**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 112**
(გამარტივებული შესყიდვა )

**ქ. ფოთი** „ 24 " ივლისი 2017 წ.

ერთის მხრივ

**ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური": ს/კ 215082764.** **მისამართი:** ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93. **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა" ბანკის კოდი: TRESGE22ა/ა: 707247519. **დირექტორი:** რევაზ ბაბილუა. (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, **მიმწოდებელი - შ.პ.ს. "ელექტრონი": ს/კ 208218132.** იურ. მისამართი: გარდაბნის გზატკეცილი N 48. ფაქ. ფაქტ. მის. აგლაძის 7/ა ; ტელ: 91 11 21; **საბანკო რეკვიზიტი: „ საქართველოს ბანკი"** ბ/კ BAGAGE22;. ა/ა GE45BG0000000222023300. ხელმძღვანელის ფოთის ფილიალის მენეჯერი: დიმიტრი შუბითიძეს სახით შემდგომში "მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1„მიმწოდებელი" უზრუნველყოფს „შემსყიდველ"–ს მიაწოდოს საქონელი ჩამონათვლის შესაბამისად:

| № | CPV კოდი | საქონლის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთ. ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 09211100 | ზეთი (ბენზოცელისთვის) STIHL HP – 1 ლიტრიანი. | ცალი | 2 | 38.00 | 76.00 |
| | | სულ: | | | | **76.00** |

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 76.00 ( სამოცდათექვსმეტი ლარი 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**3 საქონლის მიწოდების ვადები**

3.1 შესყიდული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2017 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა**

4.1. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის: ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედდებულის და მიღება–ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

**5. მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

**6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ"–ს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

6.5 მხარეების პასუხისმგებლობა:
ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**7. სადაო საკითხების გადაწყვეტა**
7.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.
7.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
**8. სხვა პირობები**
8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 აგვისტო ჩათვლით.
8.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
8.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.
8.4 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

8.5 ხელშეკრულების დადების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტი (5000 ლარამდე შესყიდვა).

**შემსყიდველის მხრიდან**

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–ს

დირექტორი: რევაზ ზაბილუა

**მიმწოდებლის მხრიდან**

შ.პ.ს. „ ელექტრონი"–ს ფოთის ფილიალის

მენეჯერი: დ.შუბითიძე